გზამკვლევი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა მობილობა ERASMUS +პროგრამის ფარგლებში

შესავალი

ტერმინი ERASMUS, "European Community Action Scheme for the Mobility of University Students" ქართულად "ევროპული საზოგადოების სამოქმედო პროგრამა უნივერსიტეტის სტუდენტების მობილობისთვის" ნიშნავს.

ერაზმუს+ პროგრამა (იგივე Erasmus Plus) — ევროკავშირის (EU) გაცვლითი პროგრამა 2014 წლის იანვარში დაიწყო, ხოლო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში 2016 წლიდან ფუნქციონირებს, საერთაშორისო კრედიტ მობილობის ქვე-პროგრამის მიმართულებით (International Credit Mobility – ICM).

ამ პროგრამის საშუალებით ევროკავშირი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს (სწავლა და სტაჟირება) ევროპულ უნივერსიტეტებში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე, და უზრუნველყოფს სტუდენტის სრულ ფინანსურ მხარდაჭერას. პროგრამის მიზანია დაეხმაროს რაც შეიძლება მეტ სტუდენტს, შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე გაიუმჯობესონ დასაქმებისა და კარიერული შესაძლებლობები.

საერთაშორისო კრედიტ მობილობის ICM გაცვლითი პროგრამა ხორციელდება საქართველოს (არაასოცირებული/პარტნიორი ქვეყანა) და ევროპის (ასოცირებული/პროგრამის ქვეყნები) უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული საპარტნიორო ხელშეკრულების 'Key Action 1 - KA171' ფარგლებში.

ინდივიდუალურ დონეზე ერასმუს კონკურსში სტუდენტი მონაწილეობას ვერ მიიღებს.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პარტნიორები:

https://art.edu.ge/acgeo/index.php?do=cat&category=6-3

ინსტიტუციური თანამშრომლობის ინიცირება, ჩამოყალიბება, გაფართოება, ცოცხალი განვითარებადი პროცესია და მოიცავს ინსტიტუციებს შორის ერასმუს+ 'Key Action 1 - KA171' ხელშეკრულებების გაფორმებას გარკვეული ვადით, და დასრულების შემდგომ განახლებას ახალი ვადით. ხელშეკრულება მოიცავს ევროკავშირის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ პუნქტებს: გაცვლითი სტუდენტების რაოდენობები, მიმართულებები (სწავლა, სტაჟირება), ხანგრძლივობა, კრიტერიუმების და მოთხოვნები, ა.შ.

ინფორმაცია სტუდენტებისთვის

თსსა საინფორმაციო შეხვედრები პირველკურსელ სტუდენტებთან ერასმუს+ მობილობის ფორმატის შესახებ, ტარდება ყოველი სასწავლო წლის:

- პირველი სემესტრის ოქტომბრის თვის უკანასკნელ ორშაბათს და
- მეორე სემესტრის მარტის თვის უკანასკელ ორშაბათს.

თსსა საინფორმაციო შეხვედრები ასევე გაიმართება სტუდენტთა ერასმუს+ მობილობის კონკურსების გამოცხადების შემდეგ, და შეეხება შერჩევის პირველ ეტაპზე, საფაკულტეტო კონკურსისთვის მომზადების პროცესს- პორტფოლიოს აგება, მოტივაციის წერილის სტრუქტურა, ა.შ. და მობილობის გამოწვევების განხილვას.

ერასმუს+ სტუდენტთა მობილობის საფუძველია თსს აკადემიასა და ევროკავშირის პარტნიორ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ინსტიტუციური ხელშეკრულება.

თსსა სტუდენტს აქვს ერასმუს მობილობაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ ერთჯერადად საბაკალავრო საფეხურზე, სამაგისტრო საფეხურზე, სადოქტორო საფეხურზე, დამოუკიდებლად იმისა თუ რა ტიპის მობილობას გაივლის სტუდენტი

(ექნება ეს სასწავლო ერთ სემესტრიანი მობილობა თუ 2-3 თვიანი სტაჟირება/პრაქტიკა - internship/traineeship).

სტუდენტს ეძლევა ერთ სემესტრიან მობილობაში მონაწილეობის უფლება ერთ კვირიანი მობილობის პროგრამის გავლის შემდგომ, რომელიც ჩაითვლება როგორც სემესტრული მობილობის წინასწარი მოსამზადებული საფეხური და ხელს შეუწყობს სტუდენტის მზაობას თსსა პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლის დაწყებამდე.

ერასმუს პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული მობილობის გრანტების (1 ან 2 ადგილი სემესტრში/ერთი უნივერიტეტზე) და აპლიკაციის დედლაინის თაობაზე ინფორმაცია ოფიციალურად ცხადდება აკადემიის ვებ-გვერდსა და თსსა-ს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, და ასევე, მიეწოდება შესაბამის ფაკულტეტს, რომელიც ატარებს სტუდენტების შიდა-საფაკულტეტო შესარჩევ კონკურსს.

შესარჩევი ეტაპი:

- აპლიკანტი სტუდენტი, რომელსაც სურს ერასმუს მობილობაში მონაწილეობა, უნდა იყოს აკადემიის საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო საფეხურის აქტიური სტუდენტი (დაუშვებელია: სტუდენტს ჰქონდეს შეჩერებული სტატუსი, იყოს აკადემიურ შვებულებაში);
- შესაბამისი ფაკულტეტის შესარჩევი კომისია, ფაკულტეტის დეკანის, ხარისხის სამხახურისა და პროფესორების შემადგენლობით, მართავს სტუდენტების შიდა-საფაკულტეტო შესარჩევ კონკურსს და უძღვება შერჩევას ქულების სისტემით (სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინტერვიუს, პრეზენტაციისგან შექმნილი საერთო სურათის შესაბამისად). შერჩევაში ჩართულია ფაკულტეტის შესარჩევი კომისია: დეკანი,ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური და ფაკულტეტის საერთაშორისო პროექტების კოორდინატორი;
- **შიდა-საფაკულტეტო კონკურსზე წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა:**

- ✓ აპლიკანტი სტუდენტი თსსა კანცელარიას და/ან შესაბამის თსსა ფაკულტეტს მიმართავს განცხადებით მობილობის კონკურსში მონაწილეობის თაობაზე;
- ✓ განცხადება შეზღუდული უნარების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი სტუდენტი შშმ პირია
- ✓ აპლიკანტი სტუდენტის აქტიური სტატუსის დამადასტურებელი

დოკუმენტი;

- ✓ პორტფოლიო (ინგლისურ ენაზე);
- ✓ სტუდენტის ხელმძღვანელი პროფესორის რეკომენდაციის წერილი, სტუდენტის

შემოქმედებითი პოტენციალის და პერსონალური თვისებების, უცხოეთში მობილობისთვის მზაობის შესახებ

- ✓ აკადემიური მოსწრების დოკუმენტი (თანაბარი დონის

პორტფოლიოების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება GPA-ს მაღალი მაჩვენებელის მქონე სტუდენტს);

- ✓ უცხო ენის საერთაშორისო აკრედიტებული სერტიფიკატი (ინგლისური

და/ან გერმანული და/ან ფრანგული) ან თსსა უცხო ენისპედაგოგის მიერ გაცემული B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ენის ბოლო სასწავლო სემესტრში მიღებული ქულის, და ასევე, ეროვნული უცხო ენის გამოცდის ქულის მითითებით;

მობილობაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტის მიერ თსს აკადემიაში სხვა ენის (ფრანგული, გერმანული,ა.შ.) შესწავლის შემთხვევაში, საფაკულტეტო შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისთვის, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის (B2 დონე) დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემულია ინგლისური ენის სასწავლო ცენტრის მიერ, რომელსიც ფლობს საერთაშორისო აკრედიტაციას ან ინგლისური ენის აკრედიტებული სასწავლო გლობალური ქსელის წევრია.

- ✓ სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე) ;
- ✓ CV (ინგლისურ ენაზე);
- ✓ პორტფოლიოს პრეზენტაცია ინგლისურ ენაზე

- შიდა-საფაკულტეტო შესარჩევი კონკურსის შედეგად გამოვლინდება მოცემული ეტაპის გამარჯვებული სტუდენტ(ებ)ი და ასევე, კონკურსის შედეგების გასაჩივრების დედლაინი;
- იმ შემთხვევაში თუ შიდა-საფაკულტეტო შერჩევის გამარჯვებული სტუდენტი შშმ პირია, იგი ვალდებულია წარმოადგინოს სამედიცინო ცნობა შეზღუდული უნარების შესახებ, აპოსტილით დამოწმებული, ინგლისურ ენაზე
- შიდა-საფაკულტეტო შესარჩევი კონკურსის შედეგად, შერჩეული აპლიკანტი სტუდენტის დოკუმენტაცია და ოფიციალური ნომინაცია იგზავნება ერასმუს პარტნიორ უნივერსიტეტში თსსა საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსის/ერასმუს ინსტიტუციური კოორდინატორის მიერ;

- **აპლიკანტი სტუდენტის ერასმუს+მობილობის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მიმღები უნივერსიტეტი.**
- პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ აპლიკანტი სტუდენტის, არჩევის/არ არჩევის დასკვნა ეცნობება აპლიკანტ სტუდენტს(ებს), შესაბამის ფაკულტეტს და ცხადდება აკადემიის ვებ-გვერდზე, გამარჯვებული სტუდენტის პორტფოლიოს გამოქვეყნების პარალელურად
- გამარჯვებული აპლიკანტი სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს და ხელი მოაწეროს თანხმობის ხელწერილს, რომელიც მოიცავს სტუდენტის ვალდებულებებს თსსა-ს მიმართ
- თსსა საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების მიერ, გამარჯვებულ აპლიკანტ სტუდენტს მიეწოდება ინფორმაცია იმის თაობაზე რომ პარტნიორი უნივერსიტეტის მხრიდან მისი არ არჩევის შემთხვევაში, თსსა-ს პრეროგატივას არ წარმოადგენს მიმღები უნივერსიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება

სტუდენტის მხარდამჭერი ღონისძიებები, მობილობამდე:

- ერასმუს მობილობაზე გამგზავრებამდე, გამარჯვებულ სტუდენტი გადის კონსულტაციას თსსა საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებაში. კონსულატაცია ეხება:

✓ ეროვნული D ვიზის მიღების პროცედურას,

✓ სტუდენტის და შესაბამისი ფაკულტეტის კოორდინატორის მოვალეობების გამიჯვნას:

სტუდენტი დამოუკიდებლად უძღვება უცხოური უნივერსიტეტის ონლაინ აპლიკაციის შევსების პროცესს, თსსა შესაბამისი ფაკულტეტის კოორდინატორის მონიტორინგის ქვეშ:

ონლაინ აპლიკაციასთან დაკავშირებული კითხვების შემთხვევაში კი, სტუდენტი კონსულტაციისთვის მიმართავს თსსა შესაბამისი ფაკულტეტის კოორდინატორს, და ასევე, თსსა ერასმუს ინსტიტუციური კოორდინატორს;

✓ ერასმუს მობილობის ფორმატს,

✓ სასწავლო და საგრანტო ხელშეკრულებების შევსების ინსტრუქციას

✓ ინფორმაციას ერასმუს გრანტის ჩარიცხვის შესახებ: სტუდენტის დანიშნულების ქვეყანაში ჩასლის და მასპინძელ უნივერსიტეტში გამოცხადების შემდეგ, სტუდენტი ადგილზე გახსნის საბანკო ანგარიშს, სადაც ჩაირიცხება ერასმუს გრანტი - 80%, გრანტის 20 % -ს სტუდენტი მიიღებს მიერ მობილობის სემესტრის წარმატებით დასრულების შემდეგ

✓ ინფორმაციას გამგზავრებამდე გასაწევი ხარჯის შესახებ- სავიზო პროცედურა, ფრენა, ჯანმრთელობის დაზღვევა, საცხოვრებლის დაჯავშნისთვის განკუთვნილი თანხა დეპოზიტზე, ა.შ.

- ერასმუს მობილობაზე გამგზავრებამდე, გამარჯვებული სტუდენტი კონსულტაციას გადის შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან, რათა სასწავლო ხელშეკრულებისთვის (გრაფაში 'მობილობამდე') ერთობლივად მოხდეს იმ სასწავლო საგნების არჩევა (შესაბამისი კრედიტებით), რაც სტუდენტმა, ერთი სემესტრის განმავლობაში

უნდა გაიაროს პარტნიორ უნივერსიტეტში. თსსა საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის/ერასმუს ინსტიტუციური კოორდინატორის და სტუდენტის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები იგზავნება პარტნიორ უნივერსიტეტში დასადასტურებლად და ხელმოსაწერად.

- ერასმუს მობილობაზე გამგზავრებამდე, გამარჯვებული სტუდენტი გაწევრიანდება თსსა ერასმუს მობილობის ონლაინ ჯგუფში, რათა კითხვა/პასუხის რეჟიმში კონსულტაცია გაიაროს წინა წლების ერასმუს მობილობის სტუდენტებთან შესაბამისი უნივერსიტეტთან, საცხოვრებელის მოძიებასთან და ა.შ. საკითხებთან დაკავშირებით
- გამარჯვებული სტუდენტს მიეწოდება ინფორმაცია რომ სასწავლო მობილობის შემთხვევაში არჩეული საგნების მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 15 კრედიტისა სპეციალობის სასწავლო კურსებში. სტუდენტს უფლება აქვს დამატებით აირჩიოს სასწავლო კურსები საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით და ამის შესახებ აცნობოს თსსა საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებას და შესაბამის ფაკულტეტს. ამასთან, აკადემია იღებს ვალდებულებას აღიაროს წინასწარ შეთანხმებული, სტუდენტის მიერ მოპოვებული, სასწავლო კურსის კრედიტები თსსა-ს მოქმედი კურიკულუმით გათვალისწინებული კრედიტების შესაბამისად.
- გამარჯვებული სტუდენტს მიეწოდება ინფორმაცია რომ სასწავლო მობილობის დასრულების და პარტნიორ უნივერსიტეტში მოპოვებული კრედიტების აღიარების შემდეგ, სტუდენტს თსს აკადემიაში მისი სწავლა გაგრძელდება ინდივიდუალური გრაფიკით, და დაემატება სემესტრ(ებ)ი.

მობილობის მსვლელობისას:

- მობილობის მსვლელობისას, ნებისმიერი მიზეზით სტუდენტის მიერ საგნის შეცვლა/ჩანაცვლება ხდება, პარტნიორ უნივერსიტეტში სასწავლო

პროცესის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში, და თსსა საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებასთან და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან შეთანხმების საფუძველზე. შეცვლილი/ჩანაცვლებული საგნები კი ჩაიწერება სასწავლო ხელშეკრულების გრაფაში 'მობილობის მსვლელობისას'

- თუ სტუდენტი თვითნებურად, თსსა-სთან შეთანხმების გარეშე ცვლის სასწავლო ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებულ და გაწერილ კურსებს, თსსა თავისუფლდება შეცვლილ სასწავლო კურსებში მიმღები უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული კრედიტების აღიარების

ვალდებულებისაგან.

მობილობის დასრულების შემდეგ:

- მობილობიდან დასრულების შემდეგ, მობილობის სტუდენტი (მობილობის პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში, გარდა იმ შემთხვევაში, როცა ინფორმაციის მოწოდება გვიანდება პარტნიორი უნივერსიტეტის მხრიდან) საერთ. ურთ. განყოფილებას და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურს წარუდგენს გავლილი საგნების ტრანსკრიპტს კრედიტების მითითებით - დოკუმენტის დედანს და ნოტარიულ თარგმანს, რის შემდეგაც ფაკულტეტის ხარისხის სამსახური უძღვება კრედიტების აღიარების პროცედურას.
    - საზღვარგარეთ სწავლის დროს მოპოვებული კრედიტების სრულად ან ნაწილობრივ აღიარების მიუხედავად, შესაძლებელია სტუდენტს შეეცვალოს თსსა საგანმანათლებლო პროგრამის წინასწარ განსაზღვრული ვადა და საჭიროებისამებრ მას დაემატოს 1 ან მეტი სემესტრი.
    - თსს აკადემიის შესაბამისი ფაკულტეტის მიერ კრედიტების აღიარების დოკუმენტი იგზავნება პარტნიორ უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების მიერ.
    - მობილობის სტუდენტის მიერ, მობილობის რეგულაციების დარღვევის (ლექციებზე არდასწრება, ინტეგრაციის ნაკლებობა, პარტნიორი უნივერსიტეტისგან უარყოფითი ფიდბექი), კრედიტების არ/ვერ ჩამოტანის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია დააკმაყოფილოს პარტნიორი უნივერიტეტის მოთხოვნა ერასმუს გრანტის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების შესახებ
    - მობილობის პირობების და/ან სასწავლო ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, რაც შესაძლოა გამოიხატოს სტუდენტის მიერ მობილობის

თვითნებური შეწყვეტით, სტუდენტი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს სასწავლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები და/ან მიყენებული სხვა სახის მატერიალური ზარალი

- მობილობიდან დაბრუნებულ სტუდენტი ვალდებულია შეავსოს ონლაინ ერასმუს კითხვარი
- მობილობიდან დაბრუნებულ სტუდენტი, ვალდებულია შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებისთვის და პროფესორიებისთვის გამართოს პრეზენტაცია და წარმოდგინოს შესრულებული პროექტები, ისაუბროს თუ რა პერსონალური და შემოქმედებითი უნარები შეიძინა უცხოეთში, თუ რა გამოწვევები გადალახა, ა.შ.

- იხილეთ ერასმუს+ სტუდენტისთვის სასარებლო ბმულები:
- Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი http://erasmusplus.org.ge/ka/services/icm
- დამატებითი ინფორმაცია ერასმუს+ პროგრამის შესახებ http://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/
- ერასმუს სტუდენტური ქსელი - ESN Tbilisi https://www.facebook.com/ESN.Tbilisi.ISU/
- საქართველოს დიპლომატიური მისიები Erasmus+ პროგრამის ქვეყნებში http://erasmusplus.org.ge/files/files/Mobility/For-ICM-students.pdf